ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბაჩანა ბასილაიას გაწული ანგარიშის წარდგენის შესახებ შეხვედრის ოქმი

31 ოქტომბერი 2022 წლი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' თავმჯდომარის მოადგილემ ბაჩანა ბასილაიამ 2022 წლის 31 ოქტომბერს გამართა შეხვედრა და ადგილობრივ მოსახლეობას გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.

როგორც მან აღნიშნა ის როგორც საკრებულოს წევრი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე, აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს რიგგარეშე და მორიგ სხდომებში, საკრებულოს გენდერული საბჭოს სხდომებში, აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში და მუნიციპალიტეტში გამართულ შეხვედრებში.

დეპუტატმა მოსახლეობას დეტალურად გააცნო ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ, ისაუბრა საკრებულოს სხდომებზე მის მიერ წამოყენებული წინადადებების, ინიციატივების და განხორციელებული პროექტების შესახებ კერძოდ:

-ინიციატივები

- 18 წლამდე შშმ ბავშვთა ფულადი დახმარების პაკეტის გათანაბრების შესახებ
- მუნიციპალიტეტის სოციალური პოლიტიკის გადახედვის, ერთჯერადი ფულადი დაფინანსების და სამედიცინო თანამონაწილეობის სისტემის შესახებ
- ქალაქში საქონლის გადაადგილების აკრძალვის შესახებ
- მიუსაფარ ცხოველთა (ძაღლების) პრობლემის შესახებ
- ნაგვის ურნებისა და ნარჩენების ეფექტურად მართვის შესახებ
- ხონის ტურისტული რუკის შექმნის და მუნიციპალიტეტის ინიციალების განმარტების ხელმისაწვდომობის შესახებ
- სკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შესახებ, რომელიც მოიცავდა აუდიტის დასკვნის შესაბამისად ააიპ-ბის ანგარიშვალდებულების გაზრდას.
- ააიპ-ბში დასაქმებულთა ხელფასების ზრდა, განსაკუთრებით სააღმზრდელო დაწესებულებებში.

-განხორციელებული პროექტები

- ლტოლვილთა დანიის საბჭო (ბიზნესზე მიმაგრებული შეგირდები)
- სლოვაკეთის რესპუბლიკის საელჩო (მე-4 სკოლა,კომპიუტერული სივრცე)
- საქართველოში მწვანეთა მოძრაობა (დასუფთავებისა და გამწვანების აქციები)
- ნატო ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი(კედლის ხატვა

ამასთან ერთად განხორციელდა რიგი პროექტებისა :

აფხაზეთის მთავრობის, სულიერების ცენტრთან თანამშრომლობით, მოიჭედა ტაძრის კარი

აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ჩატარდა მრავალპროფილური სამედიცინო კვლევები და მოსახლეობას უფასოდ გადაეცათ საჭირო მედიკამ

თვითმმართველობის დაფინანსებით გაიხნა გმირთა მემორიალი

ასევე, ყურადღება გაამახვილა სამომავლო გეგმებზე და იმ პრიორიტეტებზე, რომლებიც მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ თუ სხვა პრობლემების მოგვარებას გულისხმობს.

მიმდინარე პროექტები

დევნილთა სააგენტოსთან თანამშრომლობით ხორციელდება, ხუთ კორპუსზე სახურავის და სამ კორპუსზე წყალშემკრები ღარების შეცვლის სამუშაოები (ნახევარი მილიონი ლარი იხარჯება აფხაზეთის მთავრობასთან თანამშრომლობით ხორციელდება N 21 (102) კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია (30 000 ლარის ღირებულების პროექტი)

მომდევნო წლების პრიორიტეტები

შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტირება დასრულდა 200 000 ლარის ღირებულებით დაფინანსება: ევროკავშირი, ადგილობრივი თვითმმართველობა, დევნილთა სააგენტო, აფხაზეთის მთავრობა

კორპუსების ფასადის და დარჩენილი სახურავების რეაბილიტაციისთვის, თანხების მოზიდვა

ნარჩენების მართვის საკითხის მოწესრიგება,

ნაგვის ურნების რაოდენობა და ხარისხის ზრდა, ნგრევადი შენობების გადმოცემა/გატანა/დაშლა,

აქტიური ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, დონორებთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა.

გამოიკვეთა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რასთან დაკავშირებითაც დეპუტატმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობასთან ერთად, შესაბამისად ეფექტიან აქტივობებს განახორციელებს.

შეხვედრას მოსახლეობასთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე მოსახლეობის მხრიდან დასმული იქნა კითხვები რომელზეც საკრებულოს წევრმა ამომწურავი პასუხები გასცა.

შეხვედრის ბოლოს საკრებულოს წევრმა ბაჩანა ბასილაიამ მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს მობრძანებისთვის და უკეთესი მომავლის იმედით დაემშვიდობა.

სხდომის თავმჯდომარე: ბაჩანა ბასილაია

სხდომის მდივანი: შორენა ჩანქსელიანი